პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 21 ივლისი, 1943 წ. № 154 (6779). ფასი 20 კაპ.

სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ სამხედრო მოსავალი

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები დაუღალავად მუშაობენ ზურგში და ამით ეხმარებიან მშობლიურ წითელ არმიას საძულველი მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის. საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები საბოსფლო-სამეურნეო კულტურების მალალ სამხედრო მოსავალს იღებენ. ამოცანა ახლა ის არის, რომ უდანაკარგოდ ავიღოთ მარცვლეული, ზეთოვანი, ტექნიკური, სუბტროპიკული კულტურების მოსავალი, ყოველმხრივ მოზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას და წარმატებით შევასრულოთ საბოსფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები.

1943 წელს მოსავლის აღებისა და საბოსფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წარმოადგენს გამლილ საბრძოლო პროგრამას საბჭოთა, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციებისათვის და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება განხილულ უნდა იქნას სოფლის პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. ბოლშევიკური შეუპოვრობით ვიბრძოლოთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის.

საქართველოში ფართოდ გაჩაღდა თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება. საუკეთესოდ მოემზადა მოსავლის ასაღებად თელავის რაიონის სოფ. ყარაჯალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა. აქ მოსავლის აღებაზე ყოველდღიურად 450 კოლმეურნე მუშაობს. ხუთი დღის განმავლობაში კოლმეურნეობამ ხელით აიღო 170 ჰექტარი პურის მოსავალი. კოლმეურნეები გათენებიდან დაღამებამდე მუშაობენ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. გურჯაანის რაიონის სოფ. ლამბალოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ მთელი მუშახელი გადაიყვანა მოსავლის აღებაზე და დროულად დაამთავრა პურეულის აღება. იქ, სადაც კარგად მოემზადნენ და მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ მოსავლის აღების სამუშაოებს, ნაყოფიც თვალსაჩინოა. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონმა უკვე დაამთავრა თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება 11.136 ჰექტარზე. 15 ივლისისაფვის ყარაიის რაიონის კოლმეურნეობებს თავთავიანი კულტურები აღებული ჰქონდათ გეგმის 86,1 პროცენტი, ყვარლის რაიონს —60,7, ხოლო ბორჩალოს რაიონს—48,8 პროცენტი. მოსავლის აღება ფართოდ გაჩაღდა სიღნაღის, გურჯაანის და აგრეთვე სხვა რაიონებში. მთელი რიგი კომბაინერები საუკეთესო მუშაობის ნიმუშებს იძლევიან. საგარეჯოს მტს-ის კომბაინერმა ივანე კრაჩენკომ ხ დღის განმავლობაში მოსავალი კომბაინ „კომუნარით“ 140 ჰექტარზე აიღო. კარგად მუშაობს წნორის მტს-ის კომბაინერი ი. მაკაევი, სოფ. ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე. კოლმეურნეები ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში ვ. ჩარექიშვილისა და ზ. კირვალიძის ბრიგადები ხორბლის მოსავლის აღებაზე ნორმას 150 პროცენტით ასრულებენ. მსგავსი მაგალითები ბევრია.

მაგრამ თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღებაში ჯერ კიდევ აგდილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგან აჭიანურებენ პურეულის აღებას, კომბაინები დიდი შეფერხებით, არასრული დატვირთვით მუშაობენ. ადგილი აქვს დანაკარგებს. გურჯაანის რაიონის კაჭრეთის მტს-ის კომბაინერმა ხარაშვილმა სოფ. დარჩეთის კოლმეურნეობაში 12 დღის განმავლობაში მოსავალი მხოლოდ 22 ჰექტარზე აიღო. როგორც ვხედავთ, კომბაინის ნორმალური მუშაობა აქ უზრუნველყოფილი არ არის. გურჯაანის რაიონის სოფ. კაჭრეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გიოშვილი უდარდელობას იჩენს მოსავლის დროულად აღების საქმეში. აქ გააჭიანურეს მკა, ადგილი აქვს დანაკარგებს. თავთავის აკრეფა მოწყობილი არ არის. დანაკარგი ყოველთვის შეუწყნარებელი იყო და მით უმეტეს შეუწყნარებელია ახლა, დიდი სამამულო ომის დღეებში. დანაკარგებთან ბრძოლა მნიშვნელოვანი ამოცანაა. „დანაკარგი არ უნდა გვქონდეს, დანაკარგი მოსავლის აღებისას, რითაც უნდა იყოს ეს გამოწვეული, ჩვენი ქვეყნისათვის ამ მძიმე დროს სამშობლოს ინტერესთა ღალატს, წითელი არმიისათვის ზურგში ლახვრის ჩაცემას ნიშნავს“ (მ. კალინინი). ეს გვავალებს დავრაზმოთ მთელი ძალები მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მოსავლის აღებასა და მინდვრის სხვა სამუშაოებში, რომლებიც მოსავლის აღებას ემთხვევიან, აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა ყველა კოლმეურნემ, მოზარდმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა, აგრეთვე კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორიაზე მცხოვრებმა შრომისუნარიანმა მოსახლეობამ არაკოლმეურნეთა წრიდან. მთელს მოსავლის ასაღებ ფართობზე გულმოდგინედ მოვფოცხოთ თავთავები ცხენისა და ხელის ფოცხით, არ დავუშვათ დანაკარგი როგორც მომკის, დაზვინვის, გალეწვის, ისე გადაზიდვის დროს. მოსავლის კომბაინებით აღებასთან ერთად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მარტივი მანქანები და აგრეთვე დიდი ყურადღება მივაქციოთ პურეულის ხელით მომკას. უნდა უზრუნველვყოთ კომბაინებისა და მოსავლის ასაღები მარტივი მანქანების მუშაობა მოსავლის აღებაზე სულ ცოტა 16 საათს დღე-ღამეში. სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ პურის ლეწვას. პურის ლეწვა უნდა დაიწყოს არა უგვიანეს 5 დღისა მკის დაწყების შემდეგ. ამასთან პირველ რიგში მოეწყოს დაბულულებული პურის გალეწვა. უნდა უზრუნველვყოთ რთული სალეწი მანქანების მუშაობა სულ ცოტა 20 საათს დღე-ღამეში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაცვას. ბევრ კოლმეურნეობაში კომკავშირული ორგანიზაციები მოსავლის დაცვის სპეციალურ საგუშაგოებს ჰქმნიან. სოფლის კომკავშირელთა ეს კარგი ინიციატივა ფართოდ უნდა დავნერგოთ.

ახალი მოსავლის პურის წითელი აღალები უკვე დაიძრნენ დამამზადებელი პუნქტებისაკენ. მოწინავე კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. კოლმეურნეობათა პირველი მცენარეა სახელმწიფოს მარცვლეული ჩაბარონ ანონით დაწესებულ ვადებში და პურის ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებში აწარმოონ პირველი გალეწილი მარცვლეულიდან.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თვლიან, რომ 1943 წელს მოსავლის თავის დროზე და წარმატებით აღება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა სახელმწიფო გეგმების შესრულება წარმოადგენს საბჭოთა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, მტს-ების, კოლმეურნე კაცებისა და ქალების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სამეურნეო ამოცანას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა რაც შეიძლება მალე განადგურების საქმეში. ურყევად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილება, პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაიონსაბჭოების აღმასკომებმა ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელონ, დაეხმარონ კოლმეურნეობებს და მთელი მათი საქმიანობა ისე წარმართონ, რომ დიდი სამამულო ომის დღეებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სამხედრო მოსავალი აღებულ იქნას უდანაკარგოდ. მივცეთ ქვეყანას, ფრონტს მეტი პური და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. გავაძლიეროთ დახმარება სანელოვანი წითელი არმიისადმი, რომელიც გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის.

მის აღმაფეგებულებას ბ-ნ სტალინს

მოსკოვი

საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარეები დიდად გახარებული არიან ომურვილებით, რომლებიც თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, კეთილინებეთ გამოგეთქვათ ფრანგი ერისათვის 14 ივლისის დღესასწაულის გამო. ერთნაირ განსაცდელში მყოფნი, ერთნაირი მამაცობით აღსავსენი, მჩაგვრელის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი და იმავე იდეალით აღფრთოვანებულნი—საბჭოთი ხალხი და ფრანგი ხალხი ამ ომიდან გამოვლენ, ექნებათ რა ახალი საფუძვლები ურთიერთგაგებისა და იმ ტრადიციული მეგობრობის შენარჩუნებისათვის, რომელიც ჩვენს ორ დიდ ქვეყანას აკავშირებს.

გენერალი დე გოლი.

ამხ. გ. პოკიანშვილის დაჯილდოება

საბრძოლო თვითმფრინავების გამოშვებაში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრიატის № 39 ქარხნის მუშაკთა ჯგუფი. მათ შორის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია საამქროს უფროსი გიორგი სოლომონის-ძე **პოპაშვილი.**

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძ ორიოლზე და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე

19 ივლისს ღამით ჩვენმა ავიაციამ დიდი ძალებით მოახდინა თავდასხმები რკინიგზის კვანძ ორიოლზე და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე.

ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს გერმანელთა ეშელონები რკინიგზის კვანძ ორიოლზე და მოწინააღმდეგის საწყობები, რომლებიც ამავე რაიონში მდებარეობენ. დაბომბვის შედეგად ბევრან გაჩნდა ხანძარი, რასაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი. დიდძალი ბომბი იქნა ჩამოყრილი აგრეთვე თავმოყრილ გერმანელთა ჯარებზე ქ. ორიოლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში.

ჩვენმა ავიაციამ ეფექტურად დაბომბა მოწინააღმდეგის რამდენიმე აეროდრომი. მოსპობილი და დაზიანებულია ამ აეროდრომებზე მყოფი გერმანიის თვითმფრინავების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

საბრძოლო დავალებიდან არ დაბრუნებულა სამი ჩვენი თვითმფრინავი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
20 ივლისის ოპერაციული ცნობა

20 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ფრონტის ორიოლის უბანზე, სძლევდნენ რა მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას წინანდელი მომართულებებით და წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე. დღის განმავლობაში მოგერიებულია მოწინააღმდეგის 10 კონტრიერიში, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ორიოლის ჩრდილოეთით უტევენ, დაიკავეს 30 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი **მცენსკი** და დიდი დასახლებული პუნქტები **ტერებენი, ბუკი, რადოვიშჩი, ჟუდრე, ეგინო, ბნეზდილოვო** (ბოლხოვის ჩრდილო-დასავლეთით), **ბეკეტოვო, დუბოვაია, სტუდენკოვო.**

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 20 დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები **ბუდოვკა, ვერხნი ბავრილეცი, დოგროვო, პროტასოვო, სოფოვო, ერმოლაევო, შაკოვო, ფედოროვკა, არხანგელსკოე, დერნოვკა** და რკინიგზის სადგური **ზოროზილოვო.**

ორიოლის სამხრეთით ჩვენი ჯარები, იგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ წინ წაწევას.

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა კონტრიერიში მიიტანეს მტერზე, დასძლიეს მისი წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს 10-დან 12 კილომეტრამდე.

სამხრეთით, დონბასში, იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში და **ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით** გაჩაღდა ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები, რომლებსაც სერიოზულ ბრძოლებად გადაქცევის ტენდენცია აქვთ. აქ ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე **სევერნი დონეცი** და მდინარე **მიუსი** და სერიოზულად გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები.

19 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ფრონტის ორიოლის უბანზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 143 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის **117** თვითმფრინავი.

* * *

ფრონტის ორიოლის უბანზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას.

ორიოლის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გაფთრებულ კონტრიერიშებს. 6 შენაერთმა მოიგერია მტრის მიერ ზედიზედ მოტანილი რამდენიმე კონტრიერიში და დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგს. მოსპობილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დაზიანებულია მტრის 39 ტანკი. გასტეხეს რა გერმანელთა წინააღმდეგობა, საბჭოთა ნაწილებმა წინ წაიწიეს და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს.

ორიოლის აღმოსავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა გადალახეს წყლის ზღუდე და განდევნეს გერმანელები რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტიდან. მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 37 ტანკი, გერმანელებს წაართვეს ბევრი სხვადასხვა სამხედრო მასალა. სხვა ჩვენი შენაერთის ნაწილებმა, წაიწიეს რა წინ, მოსპეს სულ ცოტა 1.500 ჰიტლერელი, გერმანელთა 13 ტანკი, 32 ქვემეხი და ხელი იგდეს მრავალი ტყვე.

ორიოლის სამხრეთით ჩვენი ჯარები ცდილობენ რა მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, განაგრძობენ წინ წაწევას. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. მოწინააღმდეგის ტანკებს საბჭოთა არტილერია განადგურებელი ცეცხლით შეხვდა. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულია, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. ამ ბრძოლებში მოწინააღმდეგემ დაკარგა 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა და დაჭრილთა სახით. დაზიანებული და დამწვარია მტრის 34 ტანკი, მოსპობილია 10 საარტილერიო და 8 სანაღმტყორცნო ბატარია. ხელი ვიგდეთ ტყვეები და დავლა.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა კონტრიერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და წინ წაიწიეს. 6 შენაერთის მებრძოლებმა იერიშით განდევნეს გერმანელები გამაგრებული პოზიციებიდან. გაფთრებულ ბრძოლაში მოსპობილია მტრის 400 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებულია 17 ტანკი და 3 თვითმავალი ქვემეხი. ბელგოროდის მიმართულების სხვა უბანზე ჩვენი ჯარები სტეხდნენ მტრის წინააღმდეგობას და წარმატებით მიიწევდნენ წინ. აქტიურად მოქმედებდნენ ჩვენი მზვერავები. გვარდიის სერჟანტმა ნოროვმა ფარულად შეაღწია გერმანელთა შტაბის ბლინდაჟში, ხელთ იგდო ძვირფასი დოკუმენტები, ტყვიამფრქვევი სამარ მასალიანად და მშვიდობით დაბრუნდა თავის ქვეგანაყოფში. უფროსმა ლეიტენანტმა მარტინოვმა და წითელარმიელებმა ზაკელსკმ და ჯურაზმანოვმა ხელთ იგდეს შტაბის მაჭანა მნიშვნელოვან დოკუმენტებიანად, რომელიც გერმანელთა სატანკო დივიზიის ერთ-ერთი ნაწილის შტაბს ეკუთვნოდა.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე სნაიპერების ცეცხლითა და მზვერავი ჯგუფების მიერ გაანადგურეს მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა, დაუშინეს რა მტრის თავდაცვითის ნაგებობებსა და ახლო ზურგს, დაანგრიეს მოწინააღმდეგის 27 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი, მოსპეს 9 ქვემეხი, ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

კარელიის ფრონტზე ქვეგანაყოფმა, სადაც მეთაურად არის ამხ. ჩუკარინი, იერიში მიიტანა თეთრფინელთა პოზიციებზე. საბჭოთა მებრძოლები შეიჭრნენ მტრის სანგრებში, ააფეთქეს 9 მიწური, გაანადგურეს მოწინააღმდეგის 130 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს ტყვეები და დავლა.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი უეცრად დაესხა თავს გერმანელთა გარნიზონს, რომელიც დიდ დასახლებულ პუნქტში იყო განლაგებული. პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს მტრის ყაზარმებს, აფეთქეს საომარი მასალების საწყობი და გარაჟი ავტომანქანებიანად. ჰიტლერელებს, რომლებსაც მოულოდნელად წაადგნენ თავს, ორგანიზებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. პარტიზანებმა მოსპეს 102 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს დავლა და უდანაკლოსოდ დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში. სხვა რაზმის პარტიზანდა ჯგუფებმა ააფეთქეს გერმანელთა 3 სამხედრო ეშელონი. მოსპობილია 3 ორთქლმავალი, 52 პლატფორმა მოწინააღმდეგის ბრძოლა ტექნიკიანად და 18 ვაგონი ჯარებიანად.

* * *

გერმანელთა მე-2 სატანკო დივიზიის გრენადერთა მე-2 პოლკის მე-5 ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ლეონპოლდ იუნგერიტმა, რომელიც ტყვედ იქნა ჩაგდებული ფრონტის ორიოლის უბანზე, განაცხადა: „4 ივლისს საღამოს ასეულის მეთაურმა მწყობრის წინაშე წაიკითხა ჰიტლერის ბრძანება იმის შესახებ, რომ ხელ ფიდი შეტევა იწყებოდა. მეორე დღეს მე-2 სატანკო დივიზიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს რუსების პოზიციებზე, მაგრამ უმაგალითო წინააღმდეგობას წააწყდნენ და მძიმე ზარალი ნახეს. მე-2 პოლკში მე-5 ასეულმა დაჭარგა 98 ჯარისკაცი, მე-7 ასეულმა—87. ბრძოლაში ჩაბმული 50 ტანკიდან მოსპობილ იქნა 36 ტანკი. გერმანულმა რადიოსადგურებმა გადაცეს ჰიტლერის ბანაკის ცნობები, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ 5 ივლისს შეტევა დაიწყეს არა გერმანიის ჯარებმა, პირიქით რუსებმაო. ჯარისკაცები ამბობდნენ, ეს მატყუარობა არისო, და ძალიან აღშფოთებული იყვნენ. ჩვენ ხომ არა თუ მოვისმინეთ ჰიტლერის ბრძანება შეტევის შესახებ, არამედ საკუთარ თავზე გამოვცადეთ ამ შეტევის ჩაშლის მთელი შედეგები. თითოეულმა ჩვენგანმა ნახა თუ როგორ დაიტეხნენ ათობით მისი ამხანაგები. შევსების მოსალისთანავე ჩვენი დივიზია 13 ივლისს სწრაფად გაჭეზავნეს ორიოლის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში, სადაც რუსებმა გაარღვიეს თავდაცვის ხაზი. ოფიცრები ირწმუნებოდნენ, რუსებს აქ უმნიშვნელო ძალები ჰყავთ და ჩვენ ადვილად დაიძლევთ მათო. მაგრამ ნამდვილად სხვა აღმოჩნდა. 15 ივლისს დილით ჩვენი პოლკის ნაშთები, რომლებმაც რუსების იერიშს ვერ გაუძღვნენ, თავზარდაცემულნი გაიქცნენ. კურსკზე გერმანელთა შეტევის ჩაშლამ და ორიოლის ორიოლის უბანზე გერმანიის ჯარების შემდგომმა დამარცხებებმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინეს ჯარისკაცებზე. ბევრ მათგანს საბოლოოდ დაეკარგა გერმანიის გამარჯვების რწმენა ისინი დარწმუნდნენ, რომ რუსეთს ზაფხულშიაც შეუძლიათ შეტევა“.

შეჯვეა გრძელდება

ფრონტის ორიოლის უბანი, 19 ივლისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გაფთრებული ბრძოლები ორიოლის აღმოსავლეთით არც დღისით და არც ღამით არა სცხრება. მოწინააღმდეგე განაგრძობს ახალი რეზერვების გადმოყვანას სხვა ფრონტებიდან და ლრმა ზურგიდან.

გერმანელებს ტანკების დიდი ჯგუფები გამოუყავთ ბრძოლაში. ასე გვარიანის 6 ნაწილის უბანზე მოწინააღმდეგემ სამოქმედოდ გამოიყვანა რამდენიმე ათეული ტანკი. გვარდიელებმა მოსპეს 30-ზე მეტი მანქანა. სერჟანტმა ჩინინინმ 150 მეტრზე მოუშვა „ვეფხვი“, შეარჩია მომენტი, როცა ტანკი ხვეოდან ამოდიოდა, და ესროლა. პირველი ყუმბარა მტრის მანქანის გვერდით დაეცა, მეორე მიზანში მოხვდა და მანქანას გვერდის ჯავშანი შეუნგრია. „ვეფხვი“ გაჩერდა. დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა. ყველა კონტრიერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

სხვა ადგილას მრავალი საათის გაფთრებული ბრძოლის შედეგად საბჭოთა ქვეგანაყოფებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, დაედევნენ ჰიტლერელებს და სპობდნენ მათს ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ფრონტის სხვა უბანზეც არ ჰქონდათ წარმატება გერმანელთა კონტრიერიშებს, რომლებიც ტანკებთა და ავიაციის დახმარებით იქნა მოტანილი. მტერს აქაც დიდი ზარალი მოსდის. ერთ-ერთ ბრძოლაში მთლიანად იქნა გაელეტილი მოწინააღმდეგის სასწავლო ბატალიონი.

ჩვენი ჯარების იერიში საგსეა გმირობისა და უშიშრობის მრავალი მაგალითით. არასოდეს არ დაივიწყებს სამშობლო გმირი ტანკისტების — ლაპანინის, დორონკინისა და ბურკოვის სახელოვან საგმირო საქმეს. დილაადრიან ტანკისტებმა ბრძანება მიიღეს — ქვეით ჯართან ერთად იერიში მიეტანათ მტერზე. პირველი, როგორც ყოველთვის, იერიშზე გადავიდა კომკავშირელ ლაპანინის ტანკი. ზარბაზნისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით იკაფავდნენ გზას საბჭოთა მეომრები. გერმანელებმა ამოქმედეს მთელი თავიანთი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებანი, მაგრამ ჩვენი გმირები წინ მიიწევდნენ. მათ მოსპეს მტრის 2 ზარბაზანი და უკვე ემზადებოდნენ მესამის გასასროსად. მაგრამ ამ მომენტში გერმანელთა ერთ-ერთმა ყუმბარამ დაიზიანა ტანკის სავალი ნაწილი. მანქანა შეჩერდა. გერმანელები გარს შემოერტყნენ მას და სცადეს ტყვედ წაეყვანათ ეკიპაჟი. ლაპანინმა გადასწყვიტა თავისკენ მიემართა საბჭოთა არტილერიის ცეცხლი.—ცეცხლი დამიშინეთ,—გადასცა რადიოთი ლაპანინმა.

საბჭოთა ნაღმები და ყუმბარები უკვე ტანკის გასლაგებაში სცდებოდა. ათობით ჰიტლერელი გაწყდა. ცოცხლად დარჩენილები მიიმალნენ საფრენში და ფხიზლად ადევნებდნენ თვალს დაზიანებულ მანქანას. ზედიზედ თერმეტ საათს გრძელდებოდა საბჭოთა ტანკის ეკიპაჟის ეს უთანასწორო შეგმა მრავალრიცხოვან მტერთან. ტანკისტები დაუცხრომლად უშენდნენ ცეცხლს, სპობდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას და საცეცხლე წერტილს. ხოლო როცა დაღამდა, საბჭოთა ტანკისტებს კი ყველა ვაზნა და ყუმბარა გამოელიათ, ფაშისტები კვლავ გათამამდნენ და ტანკისაკენ გამოძვრნენ.

— რუსო, დაგნებდი!—ყვიროდნენ ისინი.

ტანკისტები სდუმდნენ. როცა ჰიტლერელები ტანკზე ახოხდნენ და ჩასაშვები კარების შემტვრევა დაიწყეს, ტანკისტების მდგომარეობა გართულდა, და მაშინ მათ გადაწყვიტეს სიკვდილი ერჩიათ სამარცხვინო ტყვეობისათვის.

ლაპანიცინმა თავის მეთაურს გადასცა რადიოგრამა: „ფაშისტები ტანკზე არიან. მოვკვდებით სამშობლოსათვის, სტალინისათვის, მაგრამ რუსეთის არმიის ჯარისკაცის მეობრულ ღირსებას არ შევარცხვენთ. მშვიდობით! ლაპანიცინი, დორონკინი, ბურკოვი“.

როცა გერმანელებმა ჩასაშვები კარი გაიღეს, ტანკის შიგნით აფეთქება გაისმა. ტანკისტებმა გრანატებით აიფეთქეს თავი.

მეორე დღეს მეთაურ კუცის ქვეგანაყოფმა სასტიკად იძია შური ფაშისტებზე გმირების სიკვდილისათვის. ბრძოლის ველი მოფენილი იყო მტრის ასობით ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამით.

ერთ სოფელზე მოწინააღმდეგის კონტრიერიშის მოგერიებისას თავი ისახელეს ჯავშანმტვრეველებმა ლეიტენანტ პოპოვის მეთაურობით. მათ სოფლის მისადგომებზე შეაჩერეს გერმანელთა ტანკები და ტანკსაწინააღმდეგო თოფების პირველი ზალვით დაზიანეს მტრის წამძღოლი მანქანა. ამის შემდეგ სერჟანტმა სტეპანენკომ და მებრძოლმა კოტოვმა ცეცხლი წაუკიდეს მეორე ტანკს. გერმანელთა დანარჩენი მანქანები უკან დაბრუნდნენ. მტრის ქვეითი ჯარი, დარჩა რა სატანკო საფარგარეშე, დაიბნა, თავი აარიდა ბრძოლას და სცადა საწყისი ზღუდეებისაკენ დაეხია. საბჭოთა მსროლელებმა მას უკანდასახევი გზა გადაუჭრეს და აიძულეს გერმანელები ტყვედ დანებებულიყვნენ.

მტრის ტანკების კოლონებს დიდი ზარალი მოსდით. გერმანიის სატანკო ძალებს განსაკუთრებით დიდ დარტყმას აგებენ ჩვენი მეიერიშენი. მათ მარტო ერთი დღე-ღამის განმავლობაში მოსპეს მტრის რამდენიმე ათეული ზე მეტი მანქანა.

ი. გრიგოლი

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა საჰაერო ოპერაციები კუნძულ სიცილიაზე

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ამერიკის ჯარებმა დაიკავეს კალტანისეტა (აგრიჯენტოენნას რკინიგზაზე).

ამერიკისა და კანადის ჯარებმა ხელთ იგდეს პუნქტი პიაცა-ამერინა, რომელიც დაახლოებით 10 მილზე მდებარეობს ქალაქ ენნადან.

რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარები იმყოფებიან 3 მილზე კატანიის სამხრეთით. ამ რაიონში მძიმე ბრძოლები სწარმოებს.

საჰაერო დაზვერვის ცნობებით, მოწინააღმდეგის ჯარები იხევენ გზატკეცილებითა და რკინიგზებით მესინისაკენ, მძიმე და მსუბუქ საჭურველიანად.

მოკავშირეთა მიერ კუნძულ სიცილიაზე დღემდე ხელში ჩაგდებული ტყვეების რიცხვი 35.000-ს აღწევს.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 19 ივლისს დღისით ინგლისის თვითმფრინავები ოპერაციებს ეწეოდნენ ჩრდილოეთ საფრანგეთში, აგრეთვე იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის სავაჭრო გემებზე ჰოლანდიის სანაპიროსთან.

სჯახანოველი ქალების—ფრონტელთა ცოლების თათბირი

მიტიშჩი, (მოსკოვის ოლქი), 19 ივლისი (საკდესი). ათასამდე ქალი მოვიდა ამ დღეებში შემდგარ სტახანოველი ქალების — ფრონტელთა ცოლების რაიონულ თათბირზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის გმირმა პოდპოლკოვნიკმა პროშინმა, რსფსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფისა და ყოფაცხოვრებითი მოწყობის სამმართველოს კოლეგიის წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ხეთაგუროვამ და სხვებმა.

მოხსენება სამამულო ომის დღეებში ბრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ქალთა როლის შესახებ გააკეთა საკ. კ. პ. (ბ) მიტიშჩის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა სოლოვიოვმა.

მან უამბო დამსწრეთ, თუ როგორ ეხმარებიან თავიანთი გმირული შრომით ცოლები, დები და ქალიშვილები ქმრებსა და ძმებს მათს ბრძოლაში ჰიტლერელების წინააღმდეგ, თუ როგორ ზრუნავენ რაიონული ორგანიზაციები სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის.

ექვსი ათასი ქალი შოწყობილია წარმოებაში. ფრონტელთა სამი ათასი ბავშვი ამყოფება რაიონულ სბავშვო სახლებში. 200.000 მანეთამდე დახმარება მიეცა წელს ფრონტელთა ოჯახებს.

სახელოვანი საბჭოთა პატრიოტი ქალები პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას უპასუხებენ დამკვრელური შრომით ვაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებში და ტყრფის დამშვავებაზე. სტახანოველი ელექტროშემდუღებელი მ. ნოვიჩკოვა დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით. თავისი თავდადებული შრომისათვის. ტრაქტორისტ ნასტია ბრატჩკოვას ექვსი ძმა სამამულო ომის ფრონტებზე

რაიონული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები

26 კომისრის სახელობის რაიონი

15 ივლისს შესდგა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებაზე მოსმენილ იქნა რაიკომის მდივნის ამხ. გ. რობაქიძის მოხსენება რაიონის საწარმოთა მიერ 1943 წლის პირველი ნახევრის გეგმების შესრულების შედეგებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონის მთელმა რიგმა საწარმოებმა (ხოროცკომბინატი, პურის ქარხანა № 2, თბილისის საბჭოს საწარმო კომბინატი და სხვ.) ნაყოფიერად იმუშავეს 1943 წლის პირველ და მეორე კვარტალში, წარმატებით შეასრულეს მიცემული საწარმო დავალებანი და ახლა მონდომებით იბრძვიან, რათა ასევე საწარმოო გამარჯვებები მოიპოვონ წლის მეორე ნახევარში.

მთლიანად რაიონის საწარმოებმა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს, მეორე კვარტალის გეგმა — 103,8 პროცენტით. ივნისის თვის გეგმა კი—120 პროცენტით. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საწარმოები ჩამორჩნენ დავალებათა შესრულებაში.

ჩამორჩნენ ზეთსახდელი ქარხანა, ქალაღლის ფაბრიკა, მაკარონის ფაბრიკა და სხვ. მაშინ, როცა ჩამორჩენილ საწარმოთა დიდ უმრავლესობას (მაგალითად. ზეთსახდელ ქარხანის) ნედლი მასალაც საკმაო რაოდენობით ჰქონდათ და მოწყობილობაც; გეგმების შეუსრულებლობა მხოლოდ მოუქნელი მუშაობით უნდა აიხსნას.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ რაიონში არიან საწარმოები, სადაც სათანადო ყურადღება ეთმობა ნაწარმის ხარისხს. ასეთია ფაშიზმის დედაარსი ასეთია მისი კაციმჭამელური პროგრამა მოქმედებაში.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ამ სისხლისმღვრელ გეგმებზე ჯოჯოხეთური გულახდილობით ლაპარაკობდა ფაშისტური ბანდის საზიზღარი მეთაური ჰიტლერი.

დაი მისი ხელქვეითნი, მისი პირდაპირი მრჩეველნი, ჰკლავენ, ჰგუდავენ, ძარცვავენ, ახრჩობენ.

ჰიტლერი და მისი ხროვა წლობით უნერგავდნენ გერმანელებს მტაცებელი მხეცის მორალს, უქარწყლებდნენ მათ სინდისის, პატიოსნების ოდნავ ნასახსაც კი. ამხანაგმა სტალინმა 1941 წლის 6 ნოემბერს, დაახასიათა რა ჰიტლერელები, თავის მოხსენებაში მოიყვანა ჰიტლერისა და გერინგის სიტყვები:

„მოჰკალითო,—ამბობს გერინგი, — ყველა ვინც ჩვენი წინააღმდეგია, მოჰკალით, მოჰკალით, ამისათვის თქვენ კი არ გეკისრებათ პასუხისმგებლობა, არავედ მე, ამიტომ მოჰკალით!“

„ძე ადამიანს ვათავისუფლებ,—ამბობს ჰიტლერი,—დამამცირებელი ქიმერისაგან, რომელსაც სინიდისი ეწოდება. სინიდისი, ისეთივე როგორც განათლება, ამახინჯებს ადამიანს. მე ის უპირატესობა მაქვს, რომ მე ვერ მაკავებს თეორიული თუ მორალური ხასიათის ვერავითარი მოსაზრება“.

პასუხისმგებლობა მთელი სისრულით ამ მხეცობისა და ბოროტმოქმედებათათვის, რაც ჩადენილია ქ. კრასნოდარისა და კრასნოდარის მხარის ოკუპაციის პერიოდში,—ამბობს შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელი.—პასუხისმგებლობა სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების—მოხუცების, ქალებისა და ბავშვების წამებისა და ამოწყვეტის, ბავშვობის, ნაბეღლავის, ბედნიერებისა და მოხუცების, გიგანტურ საფლავად გადაქცევის.

მიხაილოფერმა კალიამ ექვსი . თვის განმავლობაში გაანადგურა და გააპარტახა უმდიდრესი კრასნოდარის მხარე. დაიხია რა უკან წითელი არმიის დარტყმებით, მან თავის უკან დასტოვა სისხლის მდინარეები, ცრემლთა ნაკადები, ვვამთა გორები, ხანძართა კვამლი, ხალხის მწუხარების გაუვალი უფსკრული.

კრასნოდარის მხარე გამონაკლისი რიგია. ყველგან, სადაც ფაშისტი მხეცი ფეხს შესდგამს, გამეფდება უკუნი ბნელი, იდუპება სიცოცხლე და პირღია საფლავებში იყრება ასობით და ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანები.

ასეთია ფაშიზმის დედაარსი ასეთია მისი კაციმჭამელური პროგრამა მოქმედებაში.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ამ სისხლისმღვრელ გეგმებზე ჯოჯოხეთური გულახდილობით ლაპარაკობდა ფაშისტური ბანდის საზიზღარი მეთაური ჰიტლერი.

ეს ბრალდებული, — „ბოლოვანი ადამიანი“ — ბოროტმოქმედებათა ბრალდებულ-ადამიანად ქცეულ ადამიანად, ბოროტებისა და ძალადობისათვის, ჩვენი ხალხის მწუხარებისა და ცრემლებისათვის, გერმანელი დამპყრობლებისადმი უშრეტი სიძულვილის გრძნობით ვიწყებ მე ჩემს საბრალდებო სიტყვას.

ჩვენ თქვენთან ერთად, ამხანაგო მოსამართლენო, პროცესის ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მივსდიეთ მხეცის ყვავილ. ჩვენს წინაშე გადაიშალა ტანჯულ-წამებულ ორმოების შავბნელი უფსკრულები, რომლებიც გერმანელ ფაშისტ ურჯულეებს შვიდიათასზე მეტი მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანის—ქალების, ბავშვებისა და მოხუცების გიგანტურ საფლავად გადაექციათ.

მიხაილოფერმა კალიამ ექვსი . თვის განმავლობაში გაანადგურა და გააპარტახა უმდიდრესი კრასნოდარის მხარე. დაიხია რა უკან წითელი არმიის დარტყმებით, მან თავის უკან დასტოვა სისხლის მდინარეები, ცრემლთა ნაკადები, ვვამთა გორები, ხანძართა კვამლი, ხალხის მწუხარების გაუვალი უფსკრული.

კრასნოდარის მხარე გამონაკლისი რიგია. ყველგან, სადაც ფაშისტი მხეცი ფეხს შესდგამს, გამეფდება უკუნი ბნელი, იდუპება სიცოცხლე და პირღია საფლავებში იყრება ასობით და ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანები.

ასეთია ფაშიზმის დედაარსი ასეთია მისი კაციმჭამელური პროგრამა მოქმედებაში.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ამ სისხლისმღვრელ გეგმებზე ჯოჯოხეთური გულახდილობით ლაპარაკობდა ფაშისტური ბანდის საზიზღარი მეთაური ჰიტლერი.

ეს ბრალდებული, — „ბოლოვანი ადამიანი“ — ბოროტმოქმედებათა ბრალდებულ-ადამიანად ქცეულ ადამიანად, ბოროტებისა და ძალადობისათვის, ჩვენი ხალხის მწუხარებისა და ცრემლებისათვის, გერმანელი დამპყრობლებისადმი უშრეტი სიძულვილის გრძნობით ვიწყებ მე ჩემს საბრალდებო სიტყვას.

ჩვენ თქვენთან ერთად, ამხანაგო მოსამართლენო, პროცესის ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მივსდიეთ მხეცის ყვავილ. ჩვენს წინაშე გადაიშალა ტანჯულ-წამებულ ორმოების შავბნელი უფსკრულები, რომლებიც გერმანელ ფაშისტ ურჯულეებს შვიდიათასზე მეტი მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანის—ქალების, ბავშვებისა და მოხუცების გიგანტურ საფლავად გადაექციათ.

სასამართლო პროცესი

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ ხელშემწყობთა მიერ ქალაქ კრასნოდარისა და კრასნოდარის მხარის ფერიფორიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში ჩადენილ მხეცობათა საქმეზე

სახელმწიფო ბრალმდებლის იუსტიციის გენერალ-მაიორ ამხანაგ ლ. ი. იაჩენინის სიტყვა

— ათასობით ნაწამები საბჭოთა ადამიანის უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლისათვის ღრმა მწუხარების გრძნობით,—იწყებს თავის სიტყვას სახელმწიფო ბრალმდებელი,—მხეცობისა და ძალადობისათვის, ჩვენი ხალხის მწუხარებისა და ცრემლებისათვის გერმანელი დამპყრობლებისადმი უშრეტი სიძულვილის გრძნობით ვიწყებ მე ჩემს საბრალდებო სიტყვას.

ჩვენ თქვენთან ერთად, ამხანაგო მოსამართლენო, პროცესის ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მივსდიეთ მხეცის ყვავილ. ჩვენს წინაშე გადაიშალა ტანჯულ-წამებულ ორმოების შავბნელი უფსკრულები, რომლებიც გერმანელ ფაშისტ ურჯულეებს შვიდიათასზე მეტი მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანის—ქალების, ბავშვებისა და მოხუცების გიგანტურ საფლავად გადაექციათ.

ჩვენ ბრალს ვდებ ამ ბანდიტებს, ბოროტმოქმედებათა ბრალდებულ-ადამიანად ქცეულ ადამიანებს, ბოროტებისა და ძალადობისათვის, ჩვენი ხალხის მწუხარებისა და ცრემლებისათვის.

ჩვენ ბრალს ვდებ ამ ბანდიტებს, ბოროტმოქმედებათა ბრალდებულ-ადამიანად ქცეულ ადამიანებს, ბოროტებისა და ძალადობისათვის, ჩვენი ხალხის მწუხარებისა და ცრემლებისათვის.